ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა 24 ნოემბერი, 2025 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 14:18 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
არკადი საკანდელიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მურად დიასამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

საკრებულოს აპარატის დამხმარე სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - თეონა ჯინჭარაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.11.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	არკადი საკანდელიძე	კომისიის წევრი	
5	მურად დიასამიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი.**

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი. (განცხადების ნომერი: 12-95253182-95; განცხადების თარიღი: 14.11.2025 წელი).

კომისიის წევრებმა ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინეს შემდეგი წინადადებები:

1. სოფელ კოკოტაურის კულტურის სახლის რემონტი;
2. სოფელ ახოს მინი სტადიონის რეაბილიტაცია;
3. სოფელ ზესოფელში სასმელი წყლის მილის რეაბილიტაცია (სარგებლობს 14 ოჯახი);
4. სოფელ მერისში სამამულო ომში გარდაცვლილთა მემორიალის მოწყობა (პროექტი მომზადებულია);
5. სოფელ გოგიაშვილებში სასმელი წყლის რეაბილიტაცია (პროექტი მომზადებულია);
6. სოფელ გარეტყეში წისქვილის მშენებლობა.

კომისიის წევრებს პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები/წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შესახებ წარმოდგენილი წინადადებები მოწონებულ იქნას.

2. კომისიის გადაწყვეტილება დასკვნის სახით ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 14:18 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე		მერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის
დამხმარე მოსამსახურე
კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებში — თეონა ჯინჭარაძე